



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2014 წლის 15 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ.“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს №12 დადგენილების (სსმ V, №16, 25.08.2010 მუხ. 436, გვ.122) პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის მე-5, მე-5<sup>1</sup>, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე

საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი  
სარგოს ოდენობა

№	თანამდებობა	შტატების რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	790
<b>საკრებულოს აპარატი</b>			
2	აპარატის უფროსი	1	1000
3	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	810
4	საორგანიზაციო განყოფილების მთ. სპეციალისტი	2	560
5	სამდივნოს ხელმძღვანელი	1	750
6	თავმჯდომარის მდივანი	1	500
7	თავმჯდომარის მოადგილის მდივანი	1	450
8	თავმჯდომარის მძღოლი	1	560
<b>სულ:</b>			<b>9</b>